

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომის

ოქმი № 10

29 სექტემბერი 2022 წ.

ქ. თელავი

სხდომას ესწრებოდნენ: 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად არჩეული 30 დეპუტატი :

თავმჯდომარეობდა: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე -

თენგიზი მთვარელიშვილი;

ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

მამუკა ბურდიაშვილი;

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

მიხეილ დალუნდარიძე;

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

ლევან ბერძენაშვილი;

საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე

გიორგი ხაჭაპურიძე;

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე

საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თინათინ ხანჯალიაშვილი;

საკრებულოს ფრაქციის „ქართული-ოცნება დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე

დავით ლალანიძე;

საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე

ბაადურ რევაზიშვილი;

საკრებულოს ფრაქციის „ქართული-ოცნება დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილეები: თამარ ხატიაშვილი, ოთარ ესიტაშვილი, ზურაბ მოსახლიშვილი, ზურაბ მუსაევი, უჩა ჭოტიაშვილი, ზაზა ტატულიშვილი.

საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილეები: გივი გიგითელაშვილი, გელა ჭვრიტიძე.

საკრებულოს წევრები: ივანე კირვალიძე, ნიკოლოზ მაისურაძე, გივი ლაფაური, ეკატერინე ონიკაძე, გიორგი ქართლელიშვილი, ბაადურ გულიაშვილი, ზაქარია გრიშკაშვილი, იმედა კველიშვილი, ივანე დალაქიშვილი, რუსუდანი იმერლიშვილი, რამაზ ჩეკურიშვილი, ალექსანდრე კუპატაძე, გელა ესიტაშვილი, ლევან კოჭლოშვილი (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ნათია ვაყელიშვილი;

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი თამარ ზაზანაშვილი;

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ტარიელ გალახვარიძე;

საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეები;

არასამთავრობო ორგანიზაცია „რეგიონული განვითარების ცენტრი“ წარმომადგენელი თამარ მეგუთნიშვილი;

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თელავის ოფისის ხელმძღვანელი მარეხი მგალობლიშვილი;

დემოკრატიული სკოლის ხელმძღვანელი გიორგი თავბერიძე;

მოქალაქეები: მაკა მოსიაშვილი, არჩილ მჭედლიშვილი და ნიკოლოზ ვარდოშვილი.

თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა

დღის წესრიგი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №03 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე- ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხს. ლ.ბერძენაშვილი
12.00 სთ-დან - 12.10 სთ-მდე

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 აგვისტოს №49 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ლ.ბერძენაშვილი
12.10 სთ-დან - 12.20 სთ-მდე

3. თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი შინაური ცხოველების (ძაღვები და კატები) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ.

მომხს. თ.ხანჯალიაშვილი
12.20 სთ-დან - 12.50 სთ-მდე

დღის წესრიგის დამტკიცებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა.

საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარემ ბ.რევაზიშვილმა, მოქალაქეებმა ნ.ვარდოშვილმა და ა.მჭედლიშვილმა მოითხოვეს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების შემდგომ განცხადებების გაკეთების უფლება, რაზეც თავმჯდომარის მხრიდან მიიღეს თანხმობა.

1. მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №03 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე- ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხს. ლ.ბერძენაშვილი
12.00 სთ-დან - 12.10 სთ-მდე

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 29 (ოცდაცხრა) წევრმა.

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 01(ერთი) წევრმა: ი.დალაქიშვილმა.

2. მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 აგვისტოს №49 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ლ.ბერძენაშვილი
12.10 სთ-დან - 12.20 სთ-მდე

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 27 (ოცდაშვიდი) წევრმა.

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 03 (სამი) წევრმა: ა.კუპატაძემ, გ.ჭვრიტიძემ ი.დალაქიშვილმა).

3. მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი შინაური ცხოველების (ძაღვები და კატები) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ.

მომხს. თ.ხანჯალიაშვილი
12.20 სთ-დან - 12.50 სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: ბ.გულიაშვილმა აღნიშნა, რომ საკრებულოს წევრებთან აპარატის მიერ გადაგზავნილი პროექტი განსხვავდება სხდომაზე წარმოდგენილი პროექტისაგანა, რის გამოც არ უნდა მოხდეს კენჭისყრა, გარკვეული სხვაობებია ზოგიერთ მუხლებში.

ი.კველიშვილი დაეთანხმა ბ.გულიაშვილის მოსაზრებას წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით და დასვა კითხვა მერიის იურიდიული სამსახურის მიერ გასატარებული ღონისძიებების შესახებ დადგენილების შესასრულებლად და რა როლი ექნება სამართალდამცავ ორგანოებს.

ლ.ბერძენაშვილმა აღნიშნა, რომ სამართალდამცავ ორგანოების ჩართულობას საკრებულო უფლებამოსილების ფარგლებში ვერ განსაზღვრავს. მერია უზრუნველყოფს მონიტორინგს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულით, მერის ექნება დრო მიიღოს შესაბამისი ზომები მომავალი წლის დაწყებამდე.

მოქალაქე ა.მჭედლიშვილმა მადლობა გადაუხადა პროექტის ავტორს და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტის დამტკიცება უამრავი პრობლემის მოწესრიგების საწინდარია, მაგრამ კითხვები რჩება აღმასრულებელთან დაკავშირებით რამდენად ექნება მოსახლეობას საშუალება გაიღოს პასპორტეზაციის თანხები.

ი.კველიშვილმა აღნიშნა, ფაქტია, რომ წარმოდგენილი პროექტი წინგადადგმული ნაბიჯია, თუმცა ბუნდოვანია აღსრულების საკითხები.

საკრებულოს წევრების და მოქალაქეების შეკითხვებზე დეტალური განმარტებები გააკეთა მომხსენებელმა მან აღნიშნა, რომ პროექტში შეტანილი არ არის შინაარსობრივი ცვლილება დაკონკრეტდა მხოლოდ სამსახური, რომელიც პასუხისმგებელი იქნება აღსრულებაზე და ცხოველის რეგისტრაციის ვადა (ნაცვლად ერთი თვიდან სამ თვემდე) განისაზღვრა ერთი თვიდან. თ.ხანჯალიაშვილმა აგრეთვე განმარტა, რომ ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში პროექტმა პირვანდელ სახესთან შედარებით განიცადა ცვლილებები.

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 26 (ოცდაექვსი) წევრმა.

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 04(ოთხი) წევრმა: ბ.გულიაშვილმა, რ.ჩეკურიშვილმა, გ.ჭვრიტიძემ, ი.დალაქიშვილმა,).

მოისმინეს: „სხვადასხვა“

ბ.რევაზიშვილმა ისაუბრა ააიპ „უმწეოთა და უპოვართა სამსახურის“ უფასო კვების მიღების მსურველთა შესახებ და დასვა შეკითხვა პრობლემის მოსაგვარებლად გატარებული ღონისძიებების შესახებ, შესაბამისი კომისიის მიერ.

მან აგრეთვე ისაუბრა მუნიციპალური ტრანსპორტის მარშუტების დახვეწის აუცილებლობაზე და შესაბამის კომისიის როლზე.

გ.ხაჭაპურიძემ აღნიშნა, რომ სამუშაო პროცესი დაწყებულია, არსებული ვითარება ყველასთვის ნათელია, უახლოეს მომავალში საშუალება გვექნება მივიღოთ გარკვეული აკონკრეტებული და ის ადამიანები, რომლებიც სოციალური მდგომარეობიდან

გამომდინარე საჭიროებენ დახმარებას მიიღებენ „უმწეოთა და უპოვართა სამსახურის“ მომსახურებას.

თ.ხანჯალიაშვილმა აღნიშნა, რომ გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ შესწავლილია უმწეოთა და უპოვართა სამსახურში არსებული ვითარება და უნდა აღინიშნოს, რომ კვების საკითხი დგას საკმაოდ მაღალ დონეზე.

გ.გიგიტელაშვილმა ისაუბრა აღმასრულებელი ორგანოს ვალდებულებებზე პრობლემის აღმოფხვრასთან დაკავშირებით. გაჭირვებული მოქალაქეების საკვებით უზრუნველყოფა არ უნდა წარმოადგენდეს პრობლემას.

აგრეთვე აღნიშნა, რომ საკრებულო მსჯელობს წარმატებულ კურსდამთავრებულებზე ჯილდოს გაცემის თაობაზე, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტებს დავებმართოთ საცხოვრებლის ქირით უზრუნველყოფის საკითხებში.

ი.კველიშვილმა აღნიშნა, რომ მის მიერ აგვისტოს სხდომაზე გაკეთებული განცხადებები არ ჩანს აპარატის მიერ ატვირთულ ვიდეოებში, აპარატი არ უგზავნის საკრებულოს წევრებს სრულყოფილ ინფორმაციას პროექტებთან დაკავშირებით და კარგი იქნება თუ გამოსწორდება აპარატის მუშაობა ამ მიმართულებით.

საკრებულოს თავმჯდომარე



თენგიზი მთვარელიშვილი